ლელო

17–24 იანვარი 1995 წ. ● №2 (10913)

ფასი 600 რუბლი, ან 250 000 კუპონი.

გაზეთის [illegible]

● გაიოზ ჯეჯელავა 80 წლისაა (1-2 გვ.)

● ლასლო კუბი კრივში თავისებური მოვლენა იყო (მე-2 გვ.)

● ფიქრები საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ (მე-3 გვ.)

● ოთარ კვანტრიშვილი გენადი ვენლინსკიმ შეცვალა... და სხვა ამბები (მე-4 გვ.)

ილია დათუნაშვილი! ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ ტყავის ბურთის ამ შესანიშნავ ოსტატს, თბილისის დინამოელთა „ოქროს გუნდის“ ღირსეულ წარმომადგენელს, ტაშკენტის დაუვიწყარი მატჩის ერთ-ერთ გმირს, სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონს, 1959, 1962, 1967 წლების ბრინჯაოს მედლების მფლობელს.

ფეხბურთის თამაში დაიწყო ლანჩხუთში, შემდეგ გამოდიოდა ქუთაისის „ტორპედოში“, 1959 წლიდან — თბილისის „დინამოში“, უმაღლეს ლიგაში გამართა 200-ზე მეტი მატჩი , ითამაშა საკავშირო თასზე, უამრავ საერთაშორისო შეხვედრაში. გამოდიოდა ჭერ ნახევარდაცვის რგოლში, შემდეგ — თავდასხმაში, გამოირჩეოდა საზრიანი ტაქტიკით, სწრაფი ორიენტაციით, გოლის გატანის სპეციფიკური ალღოთი, შესანიშნავად ფლობდა ე.წ. მოჭრილი ბურთების დარტყმის ხელოვნებას, გამოირჩეოდა მაღალი დისციპლინით, კორექტულობით.

ი. დათუნაშვილს ეკუთვნის უნიკალური რეკორდი: საკავშირო ჩემპიონატის მატჩის ერთ ტაიმში მან 5 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

ფრენბურთის სიახლენი

სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის 24-ე კონგრესმა, რომელიც საბერძნეთის დედაქალაქ ათენში მოეწყო, წმინდა წყლის რევოლუციური ცვლილებები შეიტანა თამაშის წესებში. ამ ახალი წესების თანახმად თამაშში ნება დართულია ... ფეხების გამოყენებაც.

ამიერიდან ბურთის მოწოდება შეიძლება უკანა ხაზის ნებისმიერი წერტილიდან და რაც მთავარია გაუქმდა ორმაგი შეცდომის წესი პირველი ბურთის მიღების დროს.

მსაჯის ყოველი სასტვენი და ამ მიზეზით თამაშის შეჩერება მნიშვნელოვნად აქვეითებს სანახაობრივ ეფექტს ფრენბურთში — აცხადებს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რუბენ აკოსტა. ამიტომაც მაქსიმალურად უნდა შემცირდეს ფორმალურ შეჩერებათა რაოდენობა თამაშის პროცესში.

ახალი წესები ძალაში შევიდა მიმდინარე წლის I იანვრიდან.

ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატები აქამდე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა ქვეყანაში ეწყობოდა, ამიერიდან კი ისინი ერთად ჩატარდება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს იმავე კონგრესზე. საერთაშორისო ფედერაციის რეკომენდაციით მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელსაც 1998 წელს იაპონია უმასპინძლებს, დაუშვებენ ვაჟთა 24 და ქალთა 16 გუნდს.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტში

საქართველოს სპორტის დეპარტამენტში განახლდა საკოორდინაციო თათბირები. სპორტის სამმართველოს უფროსმა აბესაძემ გააანალიზა 1994 წლის შედეგები (ვრცელი ინფორმაცია „ლელოში“ ცალკე გამოქვეყნდება). ცხადია, ვითარება უმძიმესია, მაგრამ სპორტის დეპარტამენტი ყველაფერს აკეთებს შეანელოს დაღმასვლის პროცესი. თათბირზე აღინიშნა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს რეზერვის მომზადება და თაობათა შორის მემკვიდრეობითობის შენარჩუნება. შემაშფოთებელია, რომ მწვრთნელები იცვლიან პროფესიას, მათ კი შემდგომში ძნელად თუ ვინმე მოაბრუნებს სპორტში.

1995 წლის სპორტულ ღონისძიებათა თაობაზე ითქვა, რომ ძირითადად რესპუბლიკის კალენდარში შევა სპორტის ის სახეობები, რომლებშიც ტარდება საერთაშორისო ასპარეზობები, მხოლოდ ამ სახეობებში გაიმართება ძირითადად რესპუბლიკური შეჯიბრებები, ცხადია, დაფინანსების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

თათბირის შედეგები შეაჯამა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჯ. ბაგრატიონმა.

ახალი წელი, ფედერაციები და დაფინანსება

როგორი იქნება 1995 წელს სპორტული ფედერაციების დაფინანსება?

ფედერაციების წარმომადგენლობით თათბირზე საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საბუღალტრო-საფინანსო აღრიცხვის სამმართველოს უფროსმა ვახტანგ ვაშაკიძემ გვიპასუხა:

„ყველაფერი დამოკიდებული იქნება ბიუჯეტიდან ჩვენთვის გამოყოფილ სახსრებზე. ისე, სახარბიელო მაინც და მაინც არც 1995 წელი იქნება. მთავარი არც ბიუჯეტია, მთავარია ფული რეალურად იყოს, ეს კი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზეა დამოკიდებული. ფედერაციებში ბიუჯეტიდან ვინც იღებს ხელფასს, წლეულს შტატები 25 პროცენტით შემცირდება.

ტრიუმფატორები

რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის გადაწყვეტილებით ყოველწლიურად მოეწყობა კონკურსი „სპორტული ელიტა“. კონკურსის მონაწილეებმა უნდა დაასახელონ: საუკეთესო სპორტსმენი ვაჟი და ქალი (ცალ-ცალკე), საუკეთესო მწვრთნელი, საუკეთესო ბავშვთა ალმზრდელი, ოლიმპიური იმედი, საუკეთესო სპორტული ექიმი (მასაჟისტი), საუკეთესო მეცნიერი ოლიმპიური მომზადების დარგში, საუკეთესო ჟურნალისტი (რადიოსა და ტელევიზიის კომენტატორი).

კონკურსი მოეწყობა ორ ეტაპად.

კონკურსის ლაურეატები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზით („ტრიუმფით“) და ფულადი პრემიებით.

სპორტი პოლიტიკურ ცხოვრებაში

ეს იდეა წამოაყენეს ცნობილმა ბელარუსმა ძალოსნებმა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონებმა და რეკორდსმენებმა ალექსანდრე კურლოვიჩმა და ლეონიდ ტარანენკომ. მათ გადაწყვეტილი აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და ამ მიზნით შექმნან სპორტული პარტია.

კურლოვიჩისა და ტარანენკოს მხარს უჭერს იდეის კიდევ ერთი ინიციატორი, კულტურიზმის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ ალექსანდროვიჩი. მისი თქმით პარტია გააერთიანებს იმათ, ვისაც აინტერესებს ერის გაჯანსაღება, ბელარუსი სპორტსმენების მომავალი და რა თქმა უნდა, ხალხის ჯანმრთელობა. ჩვენ ვიბრძოლებთ ადგილებისთვის პარლამენტში, — განაცხადა ალექსანდროვიჩმა, — რათა ამ გზით მოვახდინოთ გარკვეული ზეგავლენა ჩვენთვის სასურველი კანონების მიღებაზე. ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ჩვენი პარტია ხალხმრავალი იქნება.

ქუთაისელთა სამეული

ქუთაისში სპორტის დარგის მუშაკთა და ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა გასული წლის საუკეთესო გუნდები — კალათბურთელ ქალთა კოლექტივი „მეობა“, ფეხბურთელთა გუნდი „ტორპედო“ და „აია“ (რაგბი).

გაიოზ ჯეჯელავა — 80

ფინტებსაც ჰყავდა მეფე თავისი...

ფეხბურთელი ბევრზე ბევრი მინახავს, კიდევ უფრო მეტი გამიგონია, მაგრამ რომელიმეს საგანგებო ლექსს თუ მოუძღვნიდნენ, ერთის მეტი რაღაც არ მახსოვს. თვით ევგენი ევტუშენკომ დაწერა „ჯარითმული სტრიქონები“ გაიოზ ჯეჯელავაზე–

ფინტების დიდოსტატად მონათლეს დიდ ფეხბურთში გამოჩენისთანავე. კარგა ხნის წინათ იყო ეს, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე.

— თბილისის „დინამოში“ ქუხდა გაიოზ ჯეჯელავას სახელი, მისი იარაღი, ბურთის ფლობის მაღალი ტექნიკა, დრიბლინგი და დახვეწილი ტაქტიკა იყო — წერს თავის წიგნში „დიდი ფეხბურთის ვარსკვლავები“ ნიკოლაი სტაროსტინი.

როგორც ხედავთ, გაიოზ ჯეჯელავას უბადლო ოსტატობას ერთნაირად უხდიდნენ ხარკს „ლირიკოსიც და ფიზიკოსიც“ — ამ შემთხვევაში ფეხბურთის უტყუარი სპეციალისტი, სტაროსტინების ცნობილი საფეხბურთო დინასტიის წარმომადგენელი.

თბილისის დინამოელთაგან, თუ არ ჩავთვლით „მწვრთნელთა მწვრთნელს“ ანდრო ჟორდანიას, მეორე ასეთი სპეციალისტი არ გამოსულა. რომ იტყვიან, ტარანა თვლითაააო, ჰოდა, გაიოზ ჯეჯელავას წარმატებების მეტი რა ჰქონია: თბილისის „დინამოში“ იყო ეს, ყველასათვის კარგად ცნობილ ვვს-ში, 35-ე საფეხბურთო სკოლაში, თუ, თქვენ წარმოიდგინეთ, მეზობელ სომხეთში, სადაც ბატონმა გაიოზმა ფაქტობრივად ბავშვთა ფეხბურთის პროფესიულ დანერგვას დაუდო სათავე.

...10 წელს გადაცილებული იყო გაიოზი, ტყავის ბურთის სიყვარული რომ ჩაუვარდა გულში — ტყავის ბურთისა და აგერ შვიდი ათეული წელია ატარებს ერთგულად. ძმები ჯეჯელავები — გაიოზი, ჯუანშერი (პიტუნია) და სპარტაკი — ბაქოს ქუჩაზე ცხოვრობდნენ, ძველი კონსტუდიის შორიახლოს. მთავარი ის გახლდათ, რომ მშობლიური სახლიდან სულ რაღაც ორ ნაბიჯზე, მაშინდელ პლეხანოვის პროსპექტზე, მდებარეობდა „დინამოს“ ძველი სტადიონი. სიტყვამ მოიტანა და დინამოელთა ახალი სტადიონის მშენებლობამდე ჯერ კიდევ მთელი ათი წელიწადი იყო დარჩენილი.

უფროსი ძმა — გაიოზი, შავტუხა და ვერცხლის წყალივით მოძრავი — უკვე მეხუთე კლასში დადიოდა. ბედად სკოლაში (რკინიგზის შრომის მე-8 სკოლა) მომავალსა და უკან მომავალს, სტადიონის წინ უნდა გაევლო მუდამ. პატარა ბიჭს გული აბა როგორ მოუთმენდა, როდესაც სტადიონიდან ტყავის ბურთზე დარტყმების ბათქა-ბუთქი ისმოდა. მიადგებოდა მწვანე ბალახით დაფარულ უზარმაზარ მართკუთხედს და საათობით უცქერდა „ნამდვილ“ ფეხბურთელთა პაექრობას. ზოგჯერ კარის უკანაც მიუჩენდნენ ხოლმე ადგილს და ახლა თვალებგაბრწყინებული ბიჭი სხარტად იგერიებდა ფეხბურთის ბომბარდირთა „შუტებს“. უცებ გაახსენდებოდა რაღაც, დაავლებდა ხელს წიგნებით გატენილ ჩანთას და სახლისაკენ მოკურცხლავდა. კარგა მაგრა დატუქსავდნენ მშობლები დაგვიანებისათვის, მაგრამ რა? ხვალ იგივე მეორდებოდა! ქალბატონმა ნინომ და ბატონმა ვანომ შეამჩნიეს, რომ უფროს ვაჟს სწრაფად უცვდებოდა ფეხსაცმელი, ამასთან, რატომღაც უფრო მარჯვენა ფეხზე. რაშია საქმე? თურმე ნუ იტყვით, გაიოზი ისე

იხ. მე-2 გვ.

სურათზე: აი ასეთი იყო მწვანე მინდორზე ფეხბურთის ჯადოქარი გაიოზ ჯეჯელავა.

ფოტო ავტორის არქივიდან

ფინტებსაც ჰყავდა მეფე თავისი...

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე.)

გაუტაცია ფეხბურთელობას, რომ სკოლაში მიმავალი ერთთავად ფეხის დარტყმით მიაგორებდა ცირიელი კონსერვის კოლოფს. ეშმაკობაც სცადა: მარჯვენა ფეხსაცმელი რომ არ დაზიანებოდა, სკოლიდან დაბრუნებისას ახლა კონსერვის კოლოფი მარცხენა ფეხის დარტყმით მოჰქონდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ტყავის ბურთის მომავალი დიდოსტატის პირველი ნაბიჯები ფეხბურთში, მისი პირველი, თუ გნებავთ, დამოუკიდებელი ვარჯიში.

სკოლაში ფეხბურთის თამაში არ გაიმართებოდა, გაიოზი რომ არ ჩაერიათ მობურთალთ, ხშირად უფროსკლასელებიც ათამაშებდნენ ხოლმე თავიანთ გუნდში. ერთ მშვენიერ დღეს, უკვე ინდუსტრიულ ტექნიკუმში სწავლისას, გ.ჯეჯელავა სრულიად შემთხვევით ათამაშეს თბილისის დეპოს გუნდში. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, დეპოელებს მოთამაშე დააკლდათ და მცველმა ვლადიმერ ჭანჭალეიშვილმა თანაგუნდელებს შემადგენლობა იქვე „დააკომპლექტებინა“ თავიანთი ახალი პრაქტიკანტით. გაიოზი მარჯვენა გარემარბად დააყენეს, თან დაარიგეს: „მთავარია, მეტოქეს შეუშალო ხელი, ბურთიანად რომ არ გადმოსროს მოედნის ცენტრი!“

ახალბედამ „გადაჭარბებით“ შეასრულა დავალება — თავისი „მეურვე“ დამჯერებლად გამოთიშა თამაშიდან და...სამი ბურთიც გაიტანა. 5:2 — ასეთი ანგარიშით დაამარცხეს დეპოელებმა ე.წ. „ერკოპი“.

...თბილისში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ხარკოვის ნაკრები ჩამოვიდა. გაიოზ ჯეჯელავა იმ დროს უკვე „ტსპო“-ში თამაშობდა, რომელშიც გამოდიოდნენ ძმები ნესტორ და შალვა ჩხატარაშვილები, ვანჩუკა ჩერედნიჩენკო, „ბელკა“ ვორონოვი, მიხეილ ღვინიაშვილი და სხვ. ანგარიში მე-5 წუთზე გაიხსნა. ბურთი გ.ჯეჯელავამ გაიტანა. 1936 წელს „ტსპო“-სა და თბილისის დეპოს გუნდების ბაზაზე ახალი კოლექტივი — თბილისის „ლოკომოტივი“ ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში გამოცდილი მწვრთნელი ნიკოლაი ლარიონოვი ჩაუდგა.

გ. ჯეჯელავა ისე სწრაფად ოსტატდებოდა, რომ მომდევნო წელს უკვე საქართველოს ნაკრებში ათამაშეს ლეგენდარული ბასკების გუნდის წინააღმდეგ. ახალბედა ფეხბურთელმა სულ 15 წუთი ითამაშა და ... თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში ჩარიცხეს. დინამოელთა შემადგენლობაში მარჯვენა გარემარბად იმხანად ფეხმარდი თენგიზ გავაშელი თამაშობდა. ერთ-ერთ მატჩზე ლენინგრადის „კრასნაია ზნამიასთან“, როდესაც თბილისელები 0:2 აგებდნენ, მოედანზე გ. ჯეჯელავა შეიყვანეს. მას „თავისი ადგილი“ მიუჩინეს, თ.გავაშელი კი მარცხენა ფლანგზე გადაიყვანეს თამაშიდან გასული ნიკოლაი სომოვის ნაცვლად. იმ დღეს გაიოზმა ორი გოლი გაიტანა და „დინამომ“ საბოლოოდ 3:2 გაიმარჯვა.

ბევრი, ძალიან ბევრი მატჩის გახსენება შეიძლება, როდესაც გ.ჯეჯელავა პირდაპირ ამინდს ქმნიდა ჩვენი გუნდის თამაშში და ბურთებიც ბლომად გაჰქონდა. სამ მათგანს მაინც გამოვყოფ: ერთი მოსკოვში გაიმართა 1938 წელს ადგილობრივ „ტორპედოსთან“ (3:3), მეორე — თბილისში ცდკა-თან 1939 წელს (გახსოვთ? ვაგებდით 1:4...მოვიგეთ 5:4). მესამე მატჩი ასევე თბილისში გაიმართა 1948 წელს მოსკოვის „ლოკომოტივთან“. ძნელია დაიჯერო, მაგრამ დინამოელებმა გაიმარჯვეს ასტრონომიული ანგარიშით 9:2. ამ დღეს თბილისელთა კაპიტანი გაიოზ ჯეჯელავა მინდორზე, რასაც უნდა იმას აკეთებდა. მისი უშუალო „მეურვე“, მეტოქეთა კაპიტანი ანტონევიჩი გაოგნებული შესცქეროდა თბილისელ ფეხბურთელს. გაიოზმა ამ დღეს ოთხი ბურთი გაიტანა მეკარე ხოდინსკის კარში და ორი გოლიც მისი უშუალო გადაცემის წყალობით გავიდა.

რამდენჯერ ვყოფილვართ მოწმენი გაიოზ ჯეჯელავას ვირტუოზული თამაშისა მოსკოვის, კიევის, ლენინგრადის, მინსკის თუ სხვათა გუნდებთან მატჩებში, რა გონებამახვილი ფინტების კასკადს ატრიალებდა ეს მომცრო ტანის ოსტატი მწვანე მინდორზე!

ზემოთ მოგახსენეთ, გ.ჯეჯელავაზე ლექსი დაიწერაო, ლექსი კი არა, მთელი პოემის ღირსია მისი ოსტატობა. დაუფასდა კიდეც — პირველ ნომრად შეიყვანეს საუკეთესო ფეხბურთელთა პირველ სიაში 1938 წელს, მერე, 1940 წელს სსრკ ყველაზე პოპულარულ სპორტსმენთა შორის დაასახელეს მოჭადრაკე მიხაილ ბოტვინიკთან, მძლეოსან გალინა ტურაოვასთან, ფეხბურთელ გრიგორი ფედოტოვთან და სხვებთან ერთად.

— 34 წლისამ მივატოვე ფეხბურთის თამაში. 1949 წლის სეზონში აღარ გამოვსულვარ მწვანე მინდორზე. ცხადია, კიდევ მერჩოდა მუხლში ძალა, მაგრამ არ მინდოდა ტრიბუნებს დაესტვინა ჩემთვის — გვიამბობს გ.ჯეჯელავა.

თუ ჟურნალისტები ხშირად ვხმარობთ გამოთქმას — „სახელგანთქმული 35-ე საფეხბურთო სკოლა“, ამაში ლომის წილი „ბრალი“ გაიოზ ჯეჯელავას მიუძღვის. იგი ხომ ფეხბურთელთა პოპულარული „სამჭედლოს“ უფროსი მწვრთნელი გახლდათ. შესანიშნავ სპეციალისტებთან ოტია ჟორდანიასთან, ჯონდო შავდიასთან, ვალოდია გვარჯალაძესთან, პიტუნია ჯეჯელავასთან, შოთა მერკვილაძესთან და სხვებთან ერთად ტყავის ბურთის ბევრი ნიჭიერი ოსტატი გაზარდა აქ: შოთა იამანიძე, ზაურ კალოევი, აჩიკო კილაძე, ლევან ჟორდანია, მოსე დავარაშვილი, შოთა კიტია...

მერე, ორი წლის მანძილზე, ვასილი სტალინის პირადი მიწვევით მფრინავთა ცნობილი გუნდის ვვს-ის უფროს მწვრთნელად მუშაობდა. გულშემატკივართა უფროს თაობას, ცხადია, ახსოვს ამ გუნდის შემადგენლობა: ლეგენდარული ბობროვი, აკიმოვი, პუჩკოვი, კრიჟევსკი, მეტელსკი, კორშუნოვი, ფიოდოროვი, ანისიმოვი, შუვალოვი, როგოვი, ბორხუნოვი, ბასალ შვილი, [illegible] ენოი, [illegible] ჯეჯელავა. [illegible] ხელმძღვანელობით ვვს-ი მოკლე დროში ერთ-ერთი მოწინავე გუნდი გახდა. არადა, მანამდე მფრინავთა კოლექტივი „ა“ კლასიდან გავარდნის აშკარა პრეტენდენტი იყო.

გავიდა კარგა ხანი და გაიოზ ჯეჯელავა კვლავ მშობლიურ თბილისის „დინამოს“ დაუბრუნდა — ეს იყო 1955 წელს. ორი სეზონი იმუშავა აქ და გუნდი, რომ იტყვიან, ფეხზე წამოაყენა. იმავე პერიოდში (1956 წლის ზაფხულში) გ.ჯეჯელავას ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები (იგივე თბილისის „დინამო“) წარმატებით გამოვიდა სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადაზე და საპატიო მეორე ადგილი მოიპოვა.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ შეიძლება დაიწეროს სპორტის დამსახურებულ ოსტატ გაიოზ ჯეჯელავაზე — ფეხბურთელსა და მწვრთნელზე. იგი ხომ ბორის პაიჭაძესთან ერთად დიდი ქართული ფეხბურთის სათავეებთან იდგა, მნიშვნელოვანწილად ადუღაბებდა მშობლიურ „დინამოს“, აგურს აგურზე დებდა ჩვენი უპირველესი გუნდის ფეხბურთის ოლიმპოზე ასასვლელად.

გულითადად ვეულოცავთ დღეს ბატონ გაიოზს დაბადების 80 წლისთავს.

ჯანმრთელობას და დღეგრძელობას გისურვებთ ტყავის ბურთის დიდოსტატო!

ოთარ ნოზაძე

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

სერიოზული პრეტენდენტი — ვალერი სალოვი

ვალერი სალოვმა, რომელიც აღრინდელ ციკლშიც იყო პრეტენდენტი (მაშინ იან ტიმანთან დამარცხდა), წლეულს მეტად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მან პრეტენდენტთა (ფიდეს ვერსია) მერვედფინალში დამაჯერებლად სძლია პეტერბურგელ თანაქალაქელ ალექსანდრე ხალიფმანს, მეოთხედფინალში კი იან ტიმანთან აიღო რევანში. ახლა იგი ნახევარფინალში შეხვდება გატა კამსკის და არცთუ ურიგო პერსპექტივა აქვს.

გთავაზობთ რამდენიმე წაყვეტს ვალერი სალოვის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● **თქვენ მადრიდში ცხოვრობთ?**

— დიახ, დავიქირავე ბინა მადრიდთან ახლოს, ესპანეთში წყნარად ვცხოვრობ, გარდა ამისა, ყველთვის მიზიდავდა ბუნების წიაღში ცხოვრება.

● **ესპანეთის მოქალაქეობა არ მიგიღიათ?**

— არა. მე და ჩემმა მეუღლემ ტატიანამ ესპანეთში ორი წლით ცხოვრების უფლება მივიღეთ. ეს ქვეყანა ძალიან მომწონს, მაგრამ ისიც მესმის, რომ ვერასოდეს ვიქცევი ესპანელად, ვერ ვილაპარაკებ სრულყოფილ კასტელიანოზე. მშობლები, ნათესავები, მეგობრები — ყველა პეტერბურგში ცხოვრობს, ისე კი მოჭადრაკე პროფესიონალისთვის ცხოვრების ადგილის ცვლა პირობითია — დროის დიდ ნაწილს იგი მოგზაურობაში ატარებს.

● **არ გსურთ პეტერბურგში დაბრუნება?**

— რა თქმა უნდა, რუსეთში მუდმივად ცხოვრება მირჩევნია, მაგრამ ვშიშობ, რომ საამისოდ საჭირო თვისებათა კომპლექსი არა მაქვს. ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური აჟიოტაჟი სისტემატურად ძლიერდება, ადამიანები კი არ ცხოვრობენ, არამედ იბრძვიან. ცხოვრება უკიდურესად პოლიტიზირებულია და შეუძლებელია პოლიტიკისგან განზე გადგომა. მე ძალიან მწყავედ განვიცდი ყველაფერს, რაც ქვეყანაში ხდება, მაგრამ მშვენივრად მესმის, რომ ვერაფერს გავხდები. ჩემი აზრით, პარანოიკი უნდა იყო, რომ ყოველივე ამისაგან სიამოვნება მიიღო.

● **თქვენ პირადად ხომ არ შეგეხოთ ის განუკითხობა, რომელიც ჩვენში სუფევს?**

— მოსკოვში რომ ჩამოფრინეთ შერემეტიევოს აეროპორტში დაგვეკარგა ჩემოდანი. იგი ერთი კვირის შემდეგ დამიბრუნეს, მაგრამ ნახევრად გამოცარიელებული. მაშინვე გამახსენდა ანეკდოტი, რომელიც ალექსანდრე ვერტინსკის შეეხებოდა: როცა იგი სამშობლოში დაბრუნდა, ვაგონიდან გამოსვლა და სულის მოთქმაც კი ვერ მოასწრო, რომ ჩემოდანი უკვე სადღაც გაქრა! ნაწყენმა მომღერალმა ამოიოხრა: „ეიცანი, დედაო რუსეთო!“

● **თუ ხედავთ რაიმე საერთოს ესპანეთსა და რუსეთს შორის?**

— რა თქმა უნდა, არაერთი ისტორიული პარალელის გავლება შეიძლება. როცა 1975 წლის ნოემბერში ფრანკო გარდაიცვალა, ისევე, როგორც ამჟამად ჩვენთან, იყო მშვიდობიანი გზით მმართველობის დემოკრატიულ ფორმებზე გადასვლის ამოცანა. ისე კი პოლიტიკური ძალდატანების კენ მიდრეკილება ესპანეთში რუსეთზე ნაკლები როდია. ის, ვინც ადრე ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებს ადევნებდა თვალს, ამაში ილაზე დარწმუნდებოდა. ქვეყანამ ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნა და სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომიც თავიდან აიცილა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მეფე ხუან კარლოსს.

● **თქვენ მონარქისტი ხომ არა ხართ?**

— არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ქვეყანაში უნდა იყვნენ პიროვნებები, საყოველთაო პატივისცემითა და ნდობით რომ სარგებლობენ.

● **მიღებულია, რომ ყველა ევროპულ ქვეყანასთან შედარებით ესპანეთი ერთ-ერთი ყველაზე უფრო „საჭადრაკოა“. ასეა თუ არა?**

— ესპანეთში ბევრი ღია საერთაშორისო ტურნირი ეწყობა. ქვეყანას საკმაოდ მრავალი პროფესიონალი მოჭადრაკე ჰყავს, თუმცა მატერიალური ბაზა ჭადრაკის განვითარებისთვის არ არსებობს. ესპანეთის საჭადრაკო ფედერაციას სპორტის სამინისტროსგან სულ მცირედი დახმარება თუ აქვს.

● **იყო ცნობა, რომ თქვენ ესპანეთის ნაკრებში თამაშობთ.**

— არა, არასოდეს. ესპანეთის ნაკრებში კი არა, რომელიმე ესპანურ კლუბშიც არ მითამაშია. ჩემი ერთადერთი შემოსავალია საერთაშორისო ტურნირებში მიღებული პრიზები.

● **ყოფილი საბჭოთა მოჭადრაკეები ახლა მთელ მსოფლიოში გაიფანტნენ, სახელმწიფოც ჭადრაკს არავითარ დახმარებას აღარ უწევს. ამიტომაც რუსეთის უპირატესობისაგან ამ სფეროში აღარაფერი დარჩება.**

— დიახ, ეს ნამდვილად ასეა. ჭადრაკი სპორტის ნაკლებად რენტაბელური სახეობაა და სახელმწიფოს დაუზმარებლად მისი განვითარება შეუძლებელია. კერძო სპონსორების შემწეობით შეიძლება ორიოდე ტურნირის მოწყობა, მაგრამ ქველმოქმედება ქვეყანაში ჭადრაკის განვითარების საქმეში საიმედო ბაზად ვერ იქცევა.

● **რატომ არ გიყვართ ინტერვიუს მიცემა?**

— როცა ინტერვიუს კითხულობ, იქმნება ილუზია, რომ წარმოდგენა გაქვს ადამიანზე, რომელსაც ესაუბრებიან. სინამდვილეში საქმე ასე არ არის. ეს ჟანრი უფრო ჟურნალისტის პიროვნებას ასახავს.

ზოგჯერ კერიოზული ამბებიც ხდება. ერთხელ წავიკითხე ინტერვიუ სალოვთან. ამ გაზეთის კორესპოდენტს საუბარზე უარი ჯუთხარი, ამიტომ არც გამკირვებია, რომ ინტერვიუში სულ სხვა რამეს „ვლაპარაკობდი“, ვიდრე სინამდვილეში ვფიქრობ.

მოამზადა ბიბი ბამრეკელმა



„ფრანს სუარი“:

ლასლო პაპის ხელთათმანში დინამიტი იყო ჩამალული...

სურათზე: ლასლო პაპი

ლამაზი, წარმოსადეგი, დაკუნთული კაცი გახლდათ იმრე პაპი. კრივის დიდი ტრფიალი იყო, არაერთხელაც გამოსულა რინგზე წარმატებით, მაგრამ ტყავის ხელთათმნის ოსტატი მაინც ვერ გახდა. როდესაც მისი ვაჟი, პირმრგვალი, შავგვრემანი ლაცი (ლასლო) გაჩნდა ამ ქვეყანაზე, მამამ დიდად გაიხარა: „ახლა ჩემი შვილი გიჩვენებთ ყველას, რა არის კრივი!“

მაგრამ პაპი-მეორის მომავალი ჩემპიონობა ერთობ საეჭვო ხდებოდა, რადგან იგი სულაც არ წააგავდა ათლეტური აგებულების მამის მემკვიდრეს — ბიჭი, შეიძლება ითქვას, უფრო დედის — ჩია, სუსტი აღნაგობის ქალის „ასლი“ იყო. ამასთან, 10 წლის ლაცი ქლიავის ხიდან გადმოვარდა და მარცხენა ხელის მტევანი დაიზიანა.

— ახლა კი აღარასოდეს გამოვა მოკრივე! — სიმწრით აღმოხდა მამამისს. ენაკვიმატი ნაცნობები ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ: „მოკრივისა რა მოგახსენოთ, აი, „პინგ-პონგის“ ოსტატი შეიძლება გამოვიდეს!“

... მამა ვერ მოესწრო ლაცის ჩემპიონობას. იმრე პაპი მაშინ გარდაიცვალა, როდესაც ბიჭი 12 წლისა იყო. გავიდა ორი წელიწადი და უმცროსი პაპი ბუდაპეშტის მშობლიური უბნის — ანდიალფიოლდის რაიონში ტკინიგზელთა სპორტსაზოგადოების „ვაშუტაშის“ კრივის სექციაში მიიღეს. მკითხველი ალბათ, აქ ელის დაახლოებით ასეთ სტყვებს: „მივიდა და ყველა გადარია!“ არა, პირიქით — მთელი 4 წელიწადი დასჭირდა ლასლო პაპს, რათა სპეციალისტებს იგი, ასე თუ ისე, მოკრივედ ეღიარებინათ.

1945 წლის შემოდგომის შაბათი საღამო იდგა. ბუდაპეშტის სპორტულ დარბაზში კრივის მოყვარულთა ტევა არ იყო. მეგაფონით ქვესაშუალო წონის მოკრივეთა მომდევნო ბრძოლა გამოაცხადეს. წითელ კუთხეში ბუდაპეშტის მრავალგზის ჩემპიონი — მაღალი, დაკუნთული ათლეტი დიულა ბიჩაკი იდგა, მწვანეში — ლასლო პაპი.

— ვინ, ვინ? — კითხულობდნენ გულშემატკივრები — პაპი, ლასლო პაპი?..

შეკრებილთა უმრავლესობას ეს გვარი არაფერს ეუბნებოდა და, ცხადია, წარმატებას არც ელოდნენ ახალბედისგან.

მაგრამ გაისმა გონგის ხმა და ლასლო ჯიქურ, მოზვერივით ეძგერა მეტოქეს. მაყურებლები გაოცდა უცნობის სისწრაფემ, რეაქციამ, დარტყმის ძალამ, ბრძოლის აგრესიულმა მანერამ.

— უყურეთ, უყურეთ, ცაცია ყოფილა!

მეტოქე მთლად დაიბნა, ერთხელაც ვერ „უთავაზა“ „თავგასულ“ ახალგაზრდას. გაჩირაღდნებულ დარბაზში გაიელვა ლასლოს მარცხენა ხელთათმანმა და მეტოქე იატაკზე დაენარცხა...

— ნოკაუტით გაიმარჯვა ლასლო პაპმა! — გამოაცხადა ინფორმატორმა.

ასე ჩაიწერა პირველი სტრიქონი ლეგენდარული უნგრელი მოკრივის, მსოფლიოს ერთ-ერთი პოპულარული ოსტატის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ევროპის ორგზის ჩემპიონის ლასლო პაპის ნოკაუტების სიაში. ბევრმა, მართლაც ბევრმა მოკრივემ იგემა პაპის მარცხენა ხელის საშინელი ძალა, თუმცა იგი ცაცია არ იყო.

იმ დაუვიწყარი პირველი ნოკაუტიდან ოთხი დღის შემდეგ პაპი ბუდაპეშტის ნაკრებში მიიწვიეს. ამ გუნდმა დამაჯერებლად, ანგარიშით 13:3 დაამარცხა ვენის ნაკრები. ლასლომ პირველივე რაუნდში სამჯერ გაგზავნა მეტოქე ნესლადეკი ნოკდაუნში, მერე კიდევ სამჯერ და... ვენელი მოკრივე დანებდა. მეორე დღეს ქვეყნის მთავარი სპორტული გაზეთი „ნეპშპორტი“ წერდა: „მაყურებლები ბობოკრობდნენ, ჰაერში ქუდები ავარდა. ნაცნობები და უცნობები — ყველანი მისცვივდნენ 19 წლის პაპს, ეხვეოდნენ, კოცნიდნენ...“

ეს ბიჭი ძალზე ნიჭიერი მოკრივეა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი. იგი ზედმეტად ჩქარობს, ძალზე ხშირად უმისამართოდ ურტყამს — დაასკვნა უნგრეთის კრივის სექციის მდივანმა იშტვან შიკლოშმა.

ლ. პაპი ახლა დიდ დროს ატარებდა სარკესთან, გაუთავებლად ებრძოდა... საკუთარ თავს. დედამისს ეჭვი შეეპარა, ბიჭი ჭკუაზე ხომ არ შეიშალაო!

მომდევნო მატჩში ლასლო პაპი უკვე უნგრეთის მთავარი გუნდის ღირსებას იცავდა. „ნეპშპორტი“ ავსტრიის ნაკრებთან შეხვედრის წინ ახლა ასე წერდა: „დიდი ინტერესით ველით „ნოკაუტის მეფის“ პაპის გამოსვლას. გაიმარჯვებს თუ არა დღესაც ნოკაუტით“.

გაიმარჯვა! მეხუთე წუთზე მისი მეტოქე ნოიმაიერი რინგზე იწვა ლასლოს მძლავრი „ცაცია ჭუკის“ შემდეგ. აღარავის ეეჭვებოდა, რომ ლ. პაპი კრივისთვის იყო დაბადებული. საყვარელ ფეხბურთს საბოლოოდ ეთქვა უარი.

ამას მოჰყვა „ვაშუტაშის“ ტურნე ჩეხოსლოვაკიაში — ლასლომ აქ ოთხი შეხვედრა მოიგო ნოკაუტით! მაგრამ, მოგეხსენებათ, დამარცხებისგან არავინ არის დაზღვეული და ლასლომ მოულოდნელად ქულებით წააგო თავის თანამემამულეებთან; პალ ბუდაბისთან და იანოშ ლანისთან. თუმცა ერთი წლის შემდეგ პაპმა ბრწყინვალე რევანში აიღო ლანისთან — პირველსავე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა იგი.

1946 წელს ლ. პაპი პირველად გახდა უნგრეთის ჩემპიონი. ახლა იგი საშუალო წონაში ასპარეზობდა. ნოკაუტი ნოკაუტს მოსდევდა ამხანაგურ თუ ოფიციალურ შეხვედრებში. აი, ევროპის ჩემპიონატები კი არ სწყალობდა ლასლოს თავდაპირველად: დუბლინში გამართული კონტინენტის ჩემპიონატიც წარუმატებელი გამოდგა მისთვის და ვარშავაში ჩატარებული ტურნირიც. პირველ შემთხვევაში მან წააგო თანამემამულესთან, ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრებ დიულა ტორმასთან, მეორეში — საბჭოთა მოკრივესთან ბორის ტიშინთან, თუმცა სხვადასხვა დროს ევროპის რამდენიმე ჩემპიონი ჰყავდა დამარცხებული, მათ შორის, შესანიშნავი პოლონელი კოლჩინსკი. ერთი სიტყვით, მოხდა ისე, რომ უნგრეთის

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

საფეხბურთო სეზონის პირველი ნახევრის შედეგების მოკლე მიმოხილვა

სეზონის ეკვატორზე, ცუდი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, მაინც მოხერხდა VI საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დამთავრება, შემდეგ მოწმენი გავხდით ალბანეთში საქართველოს ეროვნული ნაკრების ძნელი, მაგრამ ნაყოფიერი სტუმრობისა. ახალი წლის წინა დღეებში კი გავიგეთ, რომ ანდრო ჟორდანიას სახელობის პრემიების პირველი ლაურეატები გახდნენ ოსტატთა გუნდებში და ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელები რევაზ ძოძუაშვილი (რუსთავის „მეტალურგის“ მთ.მწვრთნელი) და გაიოზ დარსაძე (საქართველოს 16 წლამდე ჭაბუკთა ნაკრების მთ.მწვრთნელი). საგანგებოდ აღინიშნა „ნორჩი დინამოელის“, რუსთავის, გორის, ზუგდიდის ბავშვთა საფეხბურთო სკოლებისა და მწვრთნელების, კერძოდ, კოტე დოლიძისა და გია მაისურაძის მოღვაწეობა.

დიახ, მიუხედავად უძნელესი ეკონომიკური გაჭირვებისა, ჩვენში საფეხბურთო ცხოვრება არ ჩამკვდარა, პირიქით, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული, ახალგაზრდული (ოლიმპიური), 18 და 16 წლამდე ჭაბუკთა ნაკრები გუნდები, თბილისის „დინამო“ ევროპის პრესტიჟულ ოფიციალურ შეჯიბრებებში ჩაებნენ, ფეხბურთი მთელს რესპუბლიკაში, შეიძლება ითქვას, კვლავ სპორტის წამყვანი სახეობა გახდა. აღიარებულ საფეხბურთო ცენტრებს — თბილისს, რუსთავს, ქუთაისს, ბათუმს — მხარი აუბეს სამტრედიამ, ფოთმა, ზუგდიდმა, სენაკმა, ახალციხემ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქარელმა და გარდაბანმაც. და აქ უმადურობა იქნებოდა არ დაგვესახელებინა ის პიროვნებები, საფეხბურთო მეცენატები, რომელთა ხელშეწყობითა და მხარდაჭერით სულდგმულობს დღეს ადგილებზე ქართული ფეხბურთი. ესენია პირველ ყოვლისა, ზუგდიდისა და ახალციხის რაიონის გამგებლები ედიშერ ჩარგაზია და ნუგზარ სარჯველაძე, თბილისისა და თერჯოლის სატრანსპორტო მეურნეობათა თავკაცები ნუგზარ ნავაძე და ზაურ გაბრიჭიძე, წარმოება-დაწესებულებების, კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელები: სენაკელი კახი რუსია, სამტრედიელი ტარიელ ჩაჩუა, გარდაბნელი ბადრი დარჩია და სხვანი.

თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს ჩვენს ფეხბურთში პიროვნული ფაქტორი, თუნდაც თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულის მაგალითიდან ჩანს. ოთხიოდე წლის წინ იქ აგროფირმა „ნაფარეულის“ გენერალური დირექტორის, ფეხბურთის დიდი მოამაგის მერაბ ხიდაშელის ინიციატივითა და ხელშეწყობით აშენდა საუკეთესო სპორტული კოლმეჯქსი (სტადიონზე ელექტროგანათებაც კი დაამონტაჟეს). ნაფარეულში ჩამოყალიბდა საკმაოდ ძლიერი საფეხბურთო კლუბიც. შრომასა და ჯაფაში დაქანცული ათასობით ადამიანისთვის ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ნამდვილ ზეიმად იქცეოდა ხოლმე. მაგრამ დღეს... აგროფირმის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ორგანულად ვერ იტანს ფეხბურთს, შედეგად — გაპარტახებული სპორტული ბაზა, დაშლილი გუნდი.

მიმდინარე საფეხბურთო სეზონის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ეროვნული ჩემპიონატის სამთავე ჯგუფში უკიდურესად დაიძაბა ბრძოლა. ბევრმა სიურპრიზად მიიჩნია ის ფაქტი, რომ პირველი ჯგუფის გუნდების პაექრობას სათავეში „სამტრედია“ უდგას, მაგრამ, ვინც კი ბოლო წლებში ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ გუნდის გამოსვლებს, შეამჩნევდა როგორი გულმოდგინეობით ემზადებოდა სამტრედია საფეხბურთო მწვერვალების დასაპყრობად. ჯერ იყო და სპონსორებმა, პირველ რიგში, ტარიელ ჩაჩუამ, კლუბის პრეზიდენტმა მიხეილ ბალანჩივაძემ თანამოაზრეებთან ერთად იზრუნეს ძლიერი ფინანსური ბაზის შესაქმნელად, კეთილმოაწყვეს სპორტული ბაზა, რითაც მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს შეუქმნეს ნორმალური პირობები (საქართველოს კვალობაზე) სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წარმართვისათვის. მიმდინარე საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე კლუბის მეპატრონეებმა გუნდში მთავარ მწვრთნელად კვლავ დაბრუნეს მურთაზ ხურციელავა, რომელსაც შესაძლებლობა მისცეს მოეწვია მისი საფეხბურთო კონცეფციის შესაბამისი ფეხბურთელები. ასე გაჩნდნენ „სამტრედიაში“ ფოთიდან გადმოსული დავით ცომაია და გია ჩხაიძე, შევარდნელები გრიგოლ ჭანტურია, გია ჯიშკარიანი, რომეო გოგიტაძე, კახი გოგიჩაიშვილი, ზაზა ჯანაშია, ხაშურელი გიორგი ჯიკაური, გურჯაანელი გოჩა გუჯაბიძე, სოხუმელი ზვიად ჯელაძე. მათ ადგილზე დახვდათ დავით ჯანაშია, ზურაბ იონანიძე, გიორგი გოგიშვილი და სხვები. დიდი შრომა გასწია მურთაზ ხურციელავამ, რათა მიეღწია გუნდის შეთამაშებას. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ტურებში მოთამაშეებს გაუჭირდათ მოენახათ საერთო ენა, მაგრამ დაუღალავმა შრომამ, რკინისებურმა დისციპლინამ თავისი ნაყოფი გამოიღო: „სამტრედიამ“ საკუთარ მინდორზე სძლია თავის ძირითად კონკურენტებს — ფოთელებს, ბათუმელებს, სტუმრად — თვით თბილისის „დინამოს“ და ხელთ იგდო ლიდერობა.

ის, რომ ქართული ფეხბურთის ფლაგმანი თბილისის „დინამო“ სატურნირო ცხრილში უჩვეულო მეორე ადგილზე მოგვეელინა, ბევრმა მტკივნეულად მიიღო. მაგრამ, როდესაც თვალს მიადევნებ „დინამოში“ მომხდარ პროცესებს, ყოველივე კანონზომიერად მოგეჩვენება. გუნდი ერთი მეორის მიყოლებით დატოვა ძირითადი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა (და ეს მოვლენა კვლავაც გრძელდება), შეიცვალნენ მწვრთნელებიც. ტრაგედიას ნუ შევექმნით: ფეხბურთელები მიდიან იქ, სადაც უკეთეს მატერიალურ პირობებს შესთავაზებენ. როგორც კლუბის მეპატრონემ მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, საზღვარგარეთულ კლუბებში ჩვენი მოთამაშეების გადასვლა ხელს შეუწყობს მათს შემდგომ პროფესიულ დაოსტატებას და ამით, პირველ რიგში, ეროვნული ნაკრები მოიგებს. ყველაფერი ასეა, მაგრამ „დინამო“ მაინც „დინამოა“. იგი სულაც არ აპირებს ჩემპიონის ტიტულის დათმობას, მით უმეტეს, თბილისელთა მთავარ მწვრთნელს სერგო კუტიავაძეს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი დახვდა გუნდში, მათ კი უთუოდ ზურგს გაუმაგრებენ ამას წინათ „დინამოში“ დაბრუნებული მამუკა მაჭავარიანი და ოთარ კორიალიძე.

დინამოელებს სულ რაღაც ორი ქულით, შარშანდელი ვერცხლის პრიზიორები, ფოთელები ჩამორჩებიან. მართალია ჩემპიონატის დაწყებამდე „კოლხეთი-1913“-ს კოლექტივი სამმა ძლიერმა ფეხბურთელმა (აკაკი დევაძე, დავით ცომაია, გია ჩხაიძე) დატოვა, ფოთელები დაუღალავი სოსო ფილიას წინამძღოლობით უსაშური სიჯიუტით ცდილობენ ჩემპიონობის მოპოვებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეორე წრეში ისინი ორთავე ძირითად კონკურენტს — „სამტრედიას“ და თბილისის „დინამოს“ საკუთარ მინდორზე ხვდებიან, იოლი წარმოსადგენია რაოდენ საფუძვლიანია მათი პრეტენზიები.

მძაფრი სიტუაცია შეიქმნა სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილშიც. თუ ბოლო, მე-16 ადგილის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილად გვეჩვენება (საეჭვოა, რომ წყალტუბოს „სამგურალმა“ შეძლოს ამდენი დაკარგული ქულის ანაზღაურება), თერჯოლის „სპოონელა“, ზესტაფონის „მარგვეთი“, ხაშურის „ივერია“, ზუგდიდის „დინამო“, „თბილისი“ (ყოფილი „შევარდენი-1906“), ყვარლის „დურუჯი“ და თელავის „კახეთი“ ყველა ღონეს იხმარებენ, რათა არ გახდნენ ის მეორე უიღბლო გუნდი, რომელმაც პირველი ჯგუფი უნდა დატოვოს.

მწვავე პაექრობაა მოსალოდნელი მეორე ჯგუფის ორთავე ზონაშიც. გათამაშების დებულებით პირველი ჯგუფის ორ საგზურს მოიპოვებენ მხოლოდ ზონებში გამარჯვებული გუნდები. აღმოსავლეთ ზონაში საგრძნობლად დაწინაურდნენ ბოლნისის „სიონი“, ახალციხის „მესხეთი“, თბილისის „მერანი-91“ და „ანცი-ზოოვეტი“, ხოლო დასავლეთში, ისევე როგორც წინა გათამაშებაში, ტყიბულის „მეშახტე“, სენაკის „ეგრისი“, ოზურგეთის „მერცხალი“.

საინტერესოდ მიმდინარეობს გათამაშება მესამე ჯგუფშიც. ლიდერობს ქარელის „იბერია“ (გუნდში, რომელიც მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, დაუღალავად შრომობს ვეტერანი ფეხბურთელი მურმან აკოფიანი). საგრძნობია გარდაბნის „ენერგეტიკოსის“ წინსვლაც (საქართველოს ამ დემოგრაფიულად ძნელ რეგიონში ყოველგვარი აფაშირების გარეშე გუნდს ძხარში უდგას და ჭეშმარიტად ქართულ საქმეს აკეთებს გარდაბნის „თბილსრესის“ კოლექტივი).

ვფიქრობთ, მძაფრი პაექრობა გაიმართება, აგრეთვე, საქართველოს თასის მოსაპოვებლადაც: უკვე შექმნილია ყველა წინაპირობა, რათა ჩვენმა თასის მფლობელმაც მიიღოს მონაწილეობა ევროტურნირში.

როგორც ზედავთ, გაზაფხულზე საინტერესო ორთაბრძოლების მოწმენი გავხდებით. ამ პაექრობისათვის უნდა მოემზადონ არა მარტო საფეხბურთო გუნდები, რომელთა უმეტესობა უკვე შეუდგა მოსამზადებელ პერიოდს, არამედ ადგილობრივი ხელმძღვანელობაც და სამართალდამცავი ორგანოებიც.

მაგრამ, დაგვეთანხმებით, ფეხბურთის მოყვარულთა მთავარი ყურადღება მიპყრობილი იქნება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის გამოსვლებზე. ბუნებრივია, რეალობას მოკლებულია პირველივე ოფიციალურ ასპარეზობაში გუნდს მოთხოვო მიაღწიოს წარმატებას. საერთაშორისო სარბიელზე ტრადიციების შექმნასა და ავტორიტეტის მოპოვებას წლები სჭირდება. მაგრამ ბოლო ორი გამარჯვების შემდეგ გულისფანცქალით და იმედით შევყურებთ 29 მარტის მატჩს თვით მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებთან, გერმანელებთან. სწორედ ეს შეხვედრა გვესახება გადამწყვეტად — წარმატების შემთხვევაში რეალურად გამოჩნდება ლონდონისკენ მიმავალი გზა.

ამჟამად რაც შეიძლება ნაყოფიერად უნდა გამოვიყენოთ დარჩენილი დრო და ხელი შევუწყოთ ნაკრების ხელმძღვანელობას უკეთ მოამზადოს გუნდი ამ საპასუხისმგებლო მატჩისათვის. რა გვაქვს მხედველობაში? მიუხედავად იმისა, რომ ყველას გვიჭირს, უნდა გამოვნახოთ სახსრები ნაკრების შეკრების საზღვარგარეთ გასავლელად: ადგილზე არსებული — ცხოვრებისეული პირობებიდან გამომდინარე (აღდგენითი საშუალებების, რაციონალური კვების, ძლიერი სპარინგ-პარტნიორების არყოლა), ამის გაკეთება შეუძლებელია. ვინ, რომელი სამთავრობო თუ კომერციული სტრუქტურა აიღებს თავის თავზე ამ ხარჯებს, იკისრებს ამ ძნელ, მაგრამ ჭეშმარიტად საერო საქმეს?

ჯემალ ჭიპაშვილი,
„ლელოს“ საფეხბურთო მომამზადებელი

უცხოეთის ფეხბურთის ქრონიკა

როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, სამწვრთნელო ბირჟის რეგ ქვეყნებში დამოკიდებულ საფეხბურთო ჩემპიონატები.

ARგენტინაში უმაღლესი ტიტული ვადამდე „რივერ პლეიტმა“ მოიპოვა. იგი ოცდამეოთხედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ბუენოს-აირესის ფეხბურთელთა ამ წარმატების ერთ-ერთი ავტორი გუნდის ახალი მწვრთნელი ამერიგო გალიეგო გახლავთ, რომელმაც აღნიშნულ თანამდებობაზე წარსულის პოპულარული ფეხბურთელი დანიელ პასარელა შეცვალა. „რივერ პლეიტი“ წლეულს ითამაშებს სამხრეთ ამერიკაში უაღრესად პოპულარულ „ლიბერტადორესის თასზე“. ამ ასპარეზობაში გამოვა არგენტინის კიდევ ორი გუნდი — „ინდეპენდიენტე“ და თასის ახლანდელი ფლობელი „ველეს სარსფიელდი“.

ბრაზილია. როგორც იქნა დამთავრდა ქვეყნის მრავალსაფეხურიანი ჩემპიონატი. უძლიერესის სახელი შეინარჩუნა სან-პაულუს შტატის გუნდმა „პალმეირასმა“, რომლის ღირსებას ნაკრების 10 ფეხბურთელი იცავდა. მიმომხილველების აზრით გუნდის მწვრთნელს ახლანდელი შემადგენლობის უცვლელად შენარჩუნება გაუჭირდება. ზინიოს, ვეგირსა და სესარ სამპაიოს იაპონელებმა დაადგეს თვალი და ალბათ გადაიბირებენ კიდეც, ედმუნდო კი ევროპაში აპირებს გამგზავრებას. ბრაზილიის პრესა აღნიშნავს, რომ „პალმეირასის“ ბოლო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის უცხოელ სპონსორს — იტალიის კონცერნ „პარმალატს“, რომელიც „ვარსლავების“ შესაძენად სახსრებს არ ზოგავდა. ბრაზილიის ჩემპიონატში ორჯერ ზედიზედ გამარჯვება მოპოვებული აქვთ, აგრეთვე, „ინტერნაციონალს“ (პორტუ-ალეგრე) და „ფლამენგოს“.

URუგვაი. ისევე, როგორც შარშან, ქვეყნის ჩემპიონი გახდა მონტევიდეოს „პენიაროლი“. ამ გუნდს უმაღლესი ტიტული ოცდათორმეტჯერ აქვს მოპოვებული და ბუენბრიელია, ამ მხრივ რეკორდსმენად ითვლება.

JPრუ. ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვება მოიპოვა „კრისტალ პალასმა“, რომელიც ლიმის „ალიანსთან“ ერთად ლიბერტადორესის თასზე იასპარეზებს.

KOლუმბია. ქვეყნის ჩემპიონი მეექვსედ გახდა მედელინის „ატლეტიკო ნასიონალი“.

ჩილე. „უნივერსიდად დე ჩილემ“ შედარებით ადვილად მოიგო ეროვნული ჩემპიონატი.

● ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი წინასწარი გაცნობის მიზნით ჩავიდა საფრანგეთში, სადაც უნდა გაიმართოს 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. ფიფას პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ წინასწარი _სამუშაოები კარგად მიმდინარეობს. უაველანჟმა განაცხადა, რომ მომზრეა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყოს 14 ივლისს, საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის ბასტილიის აღების დღეს.

● ინგლისის საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ განვლილ წელს მისმა შემოსავალმა 10,8 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია, კლუბის ხელმძღვანელობა ამჟამად ბჭობს ახალი ფეხბურთელები შეიძინოს, თუ თავისი სტადიონის „ოლდ ტრეფორდის“ რეკონსტრუქციას შეუდგეს.

● ცნობილი პოლონელი მცველი ანჯეი რუდი, რომელიც გერმანიის „კიოლნში“ გამოდის, აპირებს შეწყვიტოს თავისი სპორტული კარიერა. 30 წლის ფეხბურთელს მიანნია, რომ ფორმას კარგავს, თუმცა გერმანული გაზეთები იუწყებიან, რომ ა.რუდი პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერის შეწყვეტას აპირებს ოჯახური მდგომარეობის გამო.

გაპიხსენოთ ის მატჩი...

მთელი სისრულით შემორჩა ფეხბურთის მოყვარულთა მეხსიერებას თბილისის „დინამოს“ 1939 წლის საკავშირო პირველობის მატჩი მოსკოველ არმიელთა წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, იმ შეხვედრას მასპინძლები, დინამოელები აგებდნენ — 1:4, მაგრამ შესვენების შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა მთლიანად გარდატეხეს თამაში და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:4. ამიტომაცაა ის მატჩი მიჩნეული ისტორიულ ორთაბრძოლად.

მაგრამ დინამოელთა საფეხბურთო ოდისეას ამშვენებს არანაკლებ დრამატული შეხვედრები. ერთ-ერთი მათგანია სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი მოსკოვში, ადგილობრივ „სპარტაკთან“. ვფიქრობთ, ღირს იმ თამაშის, კერძოდ მისი პერიპეტიების გახსენება.

ის მატჩი, რომელიც 1936 წლის 16 აგვისტოს გაიმართა, ლამის კლასიკურ მაგალითად იქცა. „სპარტაკი“ მას იგებდა თავისუფლად და ძალდაუტანებლად. თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, ანგარიში კი 2:0 გახლდათ. და უცებ ქართველი ფეხბურთელები ერთიანად გამოცოცხლდნენ...უმატეს და უმატეს სისწრაფეს... და მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

არანაკლებ დაძაბული და მოულოდნელობით აღსავსე გამოდგა განმეორებითი შეხვედრა მეორე დღეს. „სპარტაკი“ გადათამაშებაზე თავის ძალებში ზედმეტად დაჯერებული გამოვდა, წინა დღის ფრეს მეტოქის დიდ წარმატებად მიიჩნევდა და ფიქრობდა, რომ ახლა „თავნება“ მეტოქე ვეღარსად გაექცეოდა. მაგრამ ეს თვითდაჯერება ძვირად დაუჯდა.

მთელი თამაში დინამოელთა შეუნელებელი იერიშებით წარიმართა და როცა თამაშის დამთავრებას წუთებიღა აკლდა, მათ მიჰყავდათ ანგარიში 3:1. ალბათ, როგორ ინანეს იმ სულმოკლე სპარტაკელთა ქომაგებმა, რომელთაც საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე დატოვეს ტრიბუნები. ისინი ხომ ნამდვილ სასწაულს დააკლდნენ, რადგან ამ 10 წუთის განმავლობაში აბობოქრდა მათი შუამარბი ვლადიმერ სტეპანოვი, რომელმაც ორი გოლის გაქვითვა შეძლო. ძნელი წარმოსადგენია, რაც იმ დროს ხდებოდა ტრიბუნებზე. სპარტაკელთა (რომელთაც იმთავითვე არ აკლდათ ქომაგების მხარდაჭერა) აღზევებას მრავალათასიანი გულშემატკივრების ზომსგადასული ენებათაღლვა მოჰყვა და აი უკანასკნელი წუთის უკანასკნელი წამიც მიიწურა და გაისმა მსაჯის სასტვენი. ფრე — 3:3 უფლებას გვაძლევდა მეორე დღეს გვებრძოლა ნახევარფინალში გასასვლელად. აი როგორ იხსენებდა იმ დრამატულ წუთებს და ამ „ორრაუნდიანი“ ბრძოლის პერიპეტიებს დინამოელთა კაპიტანი შოთა შავგულიძე: პირველ მატჩში ბოლო წამზე პენალტი, რამაც გადათამაშების უფლება მოგვიტანა, ჩვეულებრივ, მიშა ბერძენიშვილმა დაარტყა, რასაც მთელი გუნდი ზურგშექცევით „ვუყურებდით“. ხომ შეიძლებოდა იმ დღეს ეშმაკს არ სძინებოდა? აი, სწორედ ამან გვაიძულა ზურგით „გვეცქირა“ მიშას ოპერაციისათვის. ჩვეული ოსტატობით შესრულებული დარტყმა — ყმელკოვი კარის მარჯვენა მხარეს გადაწვა, ბურთი კი მარცხენა კუთხეში შეგორდა. ეს, ცხადია, მიშას ნაამბობს გადმოგცემთ, თორემ ზურგით „დანახული“ პენალტი ვის გაუგია!

ეს რა ხალხი მოგიყვანია?

ეს გადათამაშებული მატჩის მსვლელობის გაგრძელებაა. თასის გათამაშების წესის მიხედვით გავდიავართ მესამე ტაიმის სათამაშოდ. მოვაბიჯებთ ახალი ენერგიით აღსავსენი, კრინით ვმღერით „მრავალჟამიერს“, ბიჭები შემართულები არიან... გვერდით ლასლასით მოგვყვებიან სპარტაკელები, თვით დაუღლელი ანდრია სტაროსტინი ქანცგაცლილია (ეს მართლაც საოცრება იყო!), თანაც გაოცებული, როცა ქართველი ვაჟკაცების სიმხნევეს ხედავს და მეკითხება:

— შოტა, ეს რა ხალხი მოგიყვანია?!

— ქართველ კაცს მგლის მუხლი აქვს, გული კი შევარდნისა — დაუღალავი! — ამაყად ვუპასუხე. არ ვიცი, ჩასწვდა თუ არა ანდრია ამ ხატოვანი გამოთქმის სიღრმეს, თავი კი დასტურის ნიშნად დააქნია — მართალიაო.

და ეს მართლაც ასე იყო. დამატებით ნახევარ საათში მეტოქეს სამი ბურთით გავუმასპინძლდით — ანგარიშით 6:3 დავამარცხეთ „სპარტაკი“, მერედა როგორი „სპარტაკი“.

მოჭადრაკეთა მსგავსად, ფეხბურთელებსაც, რომ ჰქონდეთ თავიანთი „უკვდავი“, „მარადუჭკნობი“ პარტია-მატჩები, წერდა ცნობილი საფეხბურთო სტატისტიკოსი კონსტანტინე ესენინი, სწორედ ასე უკვდავ მატჩად მიიჩნევდა ყველა 1936 წლის იმ მეოთხედფინალურ შეხვედრას სილამაზისა და ფეხბურთელთა სპორტული გმირობის გამო...

მოამზადა
უშანგ ჭიჭინაძემ

„ფრანს სუარი“: ლასლო პაპის ხელთათმანში დინამიტი იყო ჩამალული...

(დასაწყისი 1-ელ გვერდზე)

ჩემპიონი ლასლო პაპი უმაღლესი ევროპული ტიტულის გარეშე პირდაპირ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა!

... 1948 წელი, ოლიმპიური ლონდონი. საბჭოთა სპორტი, რომ იტყვიან, ჯერ კიდევ საღათას ძილში — მისი წარმომადგენლები (მათ შორის საქართველოს ათლეტები) მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გაემგზავრებიან ხუთი რგოლის დედაქალაქ ჰელსინკში. მოკრივენი ლონდონის სპორტდარბაზ „ემპაიერპულში“ შეიკრიბნენ. სასტარტო შეხვედრაში ლასლო პაპის მეტოქე იყო გრძელხელება ფინელი ვალე რესკო...

ნოკაუტი!

მეორე მეტოქე — ტანმაღალი ლუქსემბურგელი ველტერი.

ნოკაუტი!

მესამე მეტოქე — ბელგიელი გიგანტი კავინიაკი.

ნოკაუტი!

მეოთხე მეტოქე — ყრუ დაცვის დიდოსტატი იტალიელი ივანო ფონტანა.

ნოკაუტს... აქაც ყველა ელოდა, მათ შორის ფონტანაც. ამიტომ იყო, თავიდანვე დაცვის ჩვეულ სტილს რომ მიმართა — ისე გაურბოდა პაპს, როგორც თაგვი კატას. უნგრელმა აშკარად დაჯაბნა მეტოქე, მაგრამ ამჯერად უნოკაუტოდ.

ფინალი: ლასლო პაპი — ჯონ რაიტი (დიდი ბრიტანეთი). მატჩი „უემბლის“ სახელგანთქმულ სტადიონზე გაიმართა რვა ათასი მაყურებლის წინაშე. ცხადია, შეკრებილთა 99 პროცენტს მასპინძლის გამარჯვება სურდა. უნდა ითქვას, რომ პაპი ამ გადამწყვეტი ორთაბრძოლისთვის საკმაოდ გადაღლილი ჩანდა, მაგრამ მაინც ისე უბათქუნა მეტოქეს, როგორც კრივის „მსხალს“. ამ დღეს ნოკაუტი არ ყოფილა — პაპმა მშობლიურ ბუდაპეშტში ოლიმპიური ოქროს მედალი ჩაიტანა.

„ემპაიერ პულში“ მეორედ აღიმართა უნგრეთის დროშა: ოქროს მედალი ჯერ მჩატე წონის ტიბორ ჩიკმა მოიპოვა, მერე — ლასლო პაპმა. წარმოიდგინეთ, რომ პაპის „ოქრო“ შეიძლებოდა ერთბაშად „აორთქლებულიყო“, უნგრეთის კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს არპად ფორაის რომ არ გამოეჩინა წინდახედულება. საქმე ის არის, რომ ოლიმპიური ტურნირის ბოლოსწინა დღეს, როდესაც ლ. პაპი ფიხალში გავიდა, ხმა გავრცელდა — მეორე ფინალისტი რაიტი გადამწყვეტ ბრძოლაში ვერ გამოვა ხელის მოტეხილობის გამოო. ვიღაცამ ისიც თქვა, რომ საკუთარი თვალით ნახა, როგორ ჩაუსვეს საწყალ რაიტს ხელი თაბაშირში. გაბარებული გულშემატკივრები ღვინის ბოთლებით ხელში გაეშურნენ პაპისკენ, რათა ერთად აღენიშნათ მისი ვადამდე ჩემპიონობა. აი, აქ გამოიჩინა სიფრთხილე არპად ფორაიმ: ვინ იცის, იქნებ ეს ყოველძვე ჭორი და ტაქტიკური სვლაა? მოდი, დავიცადოთ დილამდე, მონაწილეთა აწონვამდე, არაფერი ვუთხრათ ლასლოს...

აწონვისას გამოირკვა, რომ ინგლისელი მოკრივე საღ-სალამათად იყო. არადა, ხომ შეიძლებოდა პაპს ოლიმპიადაზე გამარჯვების აღსანიშნავად ნაადრევად შეესვა ღვინით სავსე ჭიქა და საერთოდ ფსიქოლოგიურად მოდუნებულიყო, ასე ვთქვათ, განიარაღებულიყო. მართლაც საბედისწერო შეცდომა იქნებოდა! მაგრამ სამართალმა პური ჭამა.

ევროპის 1949 წლის ჩემპიონატი ოსლოში იყო დანიშული. მზადება უნგრელმა მოკრივეებმა ქვეყნის გუნდური პირველობით დაიწყეს. ლ. პაპის გუნდმა „ვაშუტაშმა“, რომელსაც რატომღაც პროზაული „ლოკომოტივი“ უწოდეს, დაამარცხა „ფერენცვაროში“ (12:4), „ჩეპელი“ (9:7), „ვაშამი“, რომელსაც ორჯერ სძლია — 9:7 და 10:6, „ელიორესთან“ კი ფრედ დაამთავრა (8:8) მატჩი.

დაკომპლექტდა ნაკრები, რომელიც შეკრებაზე გაემგზავრა ბალატონის ტბაზე. უნგრელთა მწვრთნელი „ძია ენე“ — სახელგანთქმული ენე ბერდე — განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა ლასლო პაპზე (რომელსაც თავის გუნდში წლების მანძილზე გამოცდილი ჟიგმონდ ადლერი ავარჯიშებდა). გაუმართლა კიდეც — პაპმა ზედიზედ დაამარცხა ბელგიელი აშა, იტალიელი ფონტანა (მისი ძველი ოლიმპიური მეტოქე), შვედი შელინი და ევროპის ჩემპიონი გახდა. ოსლოდან დაბრუნებისას ლ. პაპმა და თანაგუნდელებმა „ვაშუტაშიდან“... ქვეყნის გუნდური/პირველობის დარჩენილი შეხვედრა ჩაატარეს „ფტც“-სთან. ფრე (8:8) საკმარისი იყო, რათა საგაზაფხულო ტურის ჩემპიონები გამხდარიყვნენ. ლ. პაპი სულ მალე ბუდაპეშტში სტუდენტთა მსოფლიო თამაშების ჩემპიონიც გახდა.

მომდევნო წელი კვლავ წარმატებული იყო უნგრელი ოსტატისთვის — მილანში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, ბერლინში — მსოფლიო სტუდენტთა თამაშებში გაიმარჯვა.

ერთ-ერთი გამარჯვების შემდეგ ლასლო პაპმა ხელში აიტაცა თავისი მწვრთნელი ჟიგმონდ ადლერი.

1952 წლის ოლიმპიურ თამაშებს, როგორც ცნობილია, ჰელსინკმა უმასპინძლა. „მესუნალის“ სპორტული დარბაზი მოკრივეთა სარბიელად იქცა. ხუთი მეტოქე ეცილებოდა ლასლოს ჩემპიონობას: ამერიკელი ვები, კანადელი შასე, ბულგარელი სპასოვი, არგენტინელი ხერერა და სამხრეთაფრიკელი ვან შალკვიკი. ხუთივე იატაკზე აღმოჩნდა (ნოკაუტითა თუ ნოკდაუნით), პაპი კი საპატიო კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე ავიდა. მკერდზე მეორე ოლიმპიური ოქროს მედალი ეკიდა...

სიხარულს სიმწარე მოჰყვა. დაიწყო წარუმატებლობის სერია. ლასლომ ხუსტად ჩაატარა ქვეყნის ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატზე ვარშავაში წააგო პირველივე შეხვედრა საბჭოთა მოკრივესთან — ბორის ტიშინთან, რომელიც მახამდე ორჯერ ჰყავდა დამარცხებული. ჩემპიონობა პირველ საშუალო წონაში ინგლისელმა უელსმა მოიპოვა. კონტინენტის მომდევნო ჩემპიონატმაც (დასავლეთი ბერლინი) ვერ მოუტანა ლ. პაპს გამარჯვება, უფრო სწორად, იგი საერთოდ არ გამგზავრებულა 1955 წლის ჩემპიონატზე, ვიწინიდან იქ არ წაიყვანეს მისი მუდმივი მწვრთნელი ჟიგმონდ ადლერი. ლასლომ ერთ-ერთ წვრთნაზე... სამედიცინო ცნობა მოიტანა, სადაც ეწერა, რომ პოლონელ ზბიგნევ პეტშიკოვსკის ჯერი დადგა — მსაჯმა უნგრელი მოკრივის ხელი ასწია გამარჯვების ნიშნად. ახლა ფინალში პაპს ძლიერი ამერიკელი ხოსე ტორესი ელოდა. ლასლოს უპირატესობა აქაც აშკარად იგრძნობოდა და იგი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ტრიუმფატორად დაბრუნდა შშობლიურ ბუდაპეშტში და... მომდევნო წელს პროფესიონალებში გადავიდა.

პირველი შეხვედრა პროფესიულ რინგზე 1957 წლის 18 მაისს გამართა კოლნში ალოის ბრანდის წინააღმდეგ. თავის სიცოცხლეში პირველად ჩაატარა ოთხი რაუნდი და გაიმარჯვა. ერთი თვის შემდეგ ლასლომ დორტმუნდში სცადა ძალა ექვსრაუნდიან მატჩში. ახლა გერჰარდ მოლი დაამარცხა. წინ ათრაუნდიანი შეხვედრა იყო ფრანსუა ანევისთან, პარიზის სპორტის სასახლეში. ამ მატჩს დაესწრო ლეგენდარული ფრანგი მოკრივე, 64 წლის ჟორჟ კარპანტიე, რომელმაც დიდად შეაქო პაპის დარტყმები, თვით ფ. ანევი კი სპორტულ გაზეთ „ეკიპში“ წერდა: „პაპი საოცარი მოკრივეა. ერთნაირად ძლიერი დარტყმა აქვს ორივე ხელით. პირველ რაუნდში დარტყმას მარცხენით მოველოდი — იგი მარჯვენას მირტყამდა, მესამე რაუნდში ვდარაჯობდი მის მარჯვენას — ლასლო კი მარცხენით შეწვდა ჩემს ნიკაპს“. ცნობილი გაზეთი „ფრანს სუარი“ მეტად lაკონიური იყო: „პაპის ხელთათმანში დინამიტია ჩამალული“.

ცხადია, ყოველივე ამას ლ. პაპმა ღვინისაგან მომადლებული ნიჭის გარდა დიდი შრომისმოყვარეობითაც მიაღწია: ვარჯიშზე მაშინ მიდიოდა, როდესაც დარბაზში ჯერ არავინ იყო, მეცადინეობას კი მაშინ ამთავრებდა, როდესაც იქ უკვე აღარავინ იყო“...

... 1962 წლის 16 მაისს ლ. პაპი ვენის „შტადჰალეში“ შეხვდა ევროპის ჩემპიონს პროფესიონალებში — დანიელ კრის კრისტენსენს. მეშვიდე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა უნგრელმა მოკრივემ. მაყურებლებმა მხურვალე ოვაცია გაუმართეს ახალ ჩემპიონს, როდესაც მას დაფნის გვირგვინით აჯილდოებდნენ.

ჩემპიონის ტიტულს ყოველ ნახევარ წელიწადს უნდოდა დაცვა. კრისტ ენსენმა უარი თქვა რევანშზე და პაპი იმავე წლის 19 ნოემბერს პარიზის პირთამდე სავსე სპორტის სასახლეში ფრანგ იპოლიტ ანეკსს შეხვდა.

მეცხრე რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა პაპმა.

მესამედ მან 1963 წლის 6 თებერვალს მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონის ტიტული იმავე „შტადტჰალეში“ ინგლისელ ჯორჯ ოლდრიჯთან შეხვედრაში. ბოლო, მე-15 რაუნდის დამთავრების შემდეგ რეფერიმ ხელი პაპს აუწია. ბრძოლა გადაიცემოდა ინგლისის ტელევიზიით — მას თვალს ადევნებდა კრივის მოყვარულთა აურაცხელი რაოდენობა. ყველა კმაყოფილი დარჩა, გარდა... ერთი დეპუტატის — ბარონესა ედიტ სამერსკილისა. მან პროტესტი შეიტანა პარლამენტში: „მინდოდა ტელევიზორით წინასწარ გამოცხადებული გადაცემის შეეიცარიული პეიზაჟების ხილვა, სინამდვილეში კი: ვიღაც ინგლისელის ცემატყეპა მაჩვენეს“.

... იცვლებოდნენ პაპის მეტოქენი — გერმანელი პეტერ მიულერი, ამერიკელი რენდი სენდი, ესპანელი ლუის ფოლედო, ინგლისელი გარი სკოტი — გამარჯვებული კი ერთი და იგივე პიროვნება იყო: ლასლო პაპი — ევროპის ჩემპიონი!

მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველაფერს აქვს დასასრული და ლასლო პაპმაც ვენის რინგზე (რომელზეც, ფაქტიურად, დაიწყო მისი დიდი სპორტული კარიერა) უკანასკნელი მატჩი ჩაატარა...

მას შემდეგ სამი ათეული წელი გავიდა. ლ. პაპი ამ ხნის განმავლობაში მწვრთნელად მუშაობდა — მისი აღზრდილები სხვადასხვა დროს წარმატებით ასპარეზობდნენ უნგრეთის ნაკრების შემადგენლობაში. ლეგენდარული მოკრივის ოსტატობაზე მათ მხოლოდ უფროსებისგან სმენოდათ, მხოლოდ კინოფილმები „მძიმე ხელთათმანები“ და „ლომი ნახტომისათვის ემზადება“ თუ ენახათ, რომლებშიც მთავარ როლებს მათი სახელგანთქმული მწვრთნელი ასრულებდა.

— მაინც რამდენ კილოგრამს იწონიდა თქვენი მარჯვენა და მარცხენა ხელის დარტყმა? — შეეკითხა ერთხელ „ოკაუტის მეფეს“ ერთ-ერთი თაყვანისმცემელი.

— ვინაიდან კრივი არც საფუნთუშეა და არც გასტრონომი, სადაც შეიძლება ყოველივეს აწონვა, ამიტომ ვერაფერს მოგახსენებთ. ამის შესახებ უმჯობესია ჩემს მოტოქეებს მიმართოთ...

ჭეშმარიტად!

ოთარ ნოზაძე

P.S. აღსანიშნავია, რომ ლასლო პაპს ერთადერთი ქართველი მოკრივე შეხვდა — მეტად ნიჭიერი ოსტატი გივი დარბაისელი. ეს მატჩი 1954 წელს გაიმართა ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალის დღეებში. ფინალურ ასპარეზობაზე მოსული 40 ათასი მაყურებელი მხურვალედ უჭერდა მხარს თავის კერპს. გადამწყვეტ ორთაბრძოლამდე ლასლომ დამარცხა რუმინელი პოპესკუ და ბულგარელი მიტრევი, გივიმ კი აშკარა უპირატესობით მოუგო ჯერ რუმინელ დუმიტრაკეს, მერე ნოკაუტით — ფინელ კოლარს. რიგით მესამე, ყველაზე მთავარი ბრძოლა ოქროს მედლისთვის, სამწუხაროდ, ქართველი მოკრივის დამარცხებით დამთავრდა. ფესტივალის ჩემპიონის სპატიო წოდება დამჯერებლად მოიპოვა ლეგენდარულმა უნგრელმა მოკრივე ლასლო პაპმა.

ო. ნ.

ფონდი „სპორტსმენებს“

ლ. ბაშინის სახელობის სპორტსმენთა სოციალური დაცვის ფონდი“, რომელიც დაარსა ჩვენმა თანამემამულემ ოთარ კვანტრიშვილმა, კვლავ განაგრძობს არსებობას, თუმცა ერთხანს იგი უსამართლოდ იყო მივიწყებული. ამჟამად მას ხელმძღვანელობს ოლიმპიური სოფლის სპორტული კომპლექსის გენერალური დირექტორი, 53 წლის გენადი ვენლინსკი, რომელიც წარსულში საკმაოდ ცნობილი თავისუფალი სტილის მოჭიდავე იყო — სსრკ ჩემპიონი და ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი.

ფონდს დახმარების ხელი აქვს გაწვდილი გაჭირვებაში მყოფ, სოციალურად დაუცველ სპორტსმენებისთვის (ტანმოვარჯიშე ელენე მუხინა, მძლეოსანი ვალერი ბრუმელი, მოკრივე ვიაჩესლავ ლემეშევი და სხვ.). ფონდი აწყობს შეჯიბრებებს ინვალიდებისთვის, ბავშვებისთვის, ვეტერანებისთვის, მფარველობს ახალგაზრდა ტალანტებს, სპონსორობას უწევს ხელოვნების დარგის მუშაკებს...

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

რიგერტმ ბაჯომ გადაწყვიტა, რომ „ოქროს ბურთი“, რომელიც მას გადაეცა როგორც 1993 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, აუქციონზე გამოიტანოს გასაყიდად. შემოსულ თანხას იგი გადასცემს ტურინის ამასწინანდელ წყალდიდობაში დაზარალებულ ბავშვთა ფონდს. მოგეხსენებათ, რომ „ოქროს ბურთი“ ძვირფასი ლითონისაგან არ არის დამზადებული და ამდენად მას მხოლოდ სიმბოლური ღირებულება აქვს.

აზიის ფეხბურთის ერთ-ერთი პრობლემა ჭაბუკთა ასაკის დადგენაა. იმის გამო, რომ აქამდე ამ საკითხის მოგვარება მთელ რიგ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, ამა თუ იმ ასაკობრივ ტურნირში აშკარად „გადაზრდილი“ ფეხბურთელები გამოდიოდნენ. ახლა სიმართლის დადგენაში მსაჯებს რენტგენის სხივები დაეხმარება. ამას იუწყება აზიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი პიტერ ველაპანი.

დიდი იმედებითა და გეგმებით დატოვა ანტვერპენის კლინიკა იტალიის „მილანის“ ფორვარდმა, პოლანდიელმა მარკო ვან ბასტენმა (შარშან მან მუხლის ბოლო ოპერაცია გაიკეთა). მისმა მკურნალმა ექიმმა, პროფესორმა მარკო მარტენსმა პირველად განაცხადა ოფიციალურად, რომ მდგომარეობა საიმედოა. ავადმყოფს რეაბილიტაციის პერიოდში უფლება მისცეს გაზარდოს ფიზიკური დატვირთვა.

შესაძლოა ცნობილი ურუგვაელი ფეხბურთელი რუბენ სოსა, რომელიც იტალიის „ინტერში“ თამაშობს, გაიყიდოს ინგლისში. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის განცხადებით ურუგვაელს თვალი დაადო „ლიდსმა“. სოსა, სხვათა შორის, არც მალავს, რომ არ სურს მუდამ დენის ბერგკამპის ჩრდილში ყოფნა. 25 წლის სოსას ტრანსფერის სავარაუდო ფასია 4 მილიონი დოლარი.

მარსელის მუნიციპალიტეტმა სასამართლოში უჩივლა „ოლიმპიკს“, რომელიც არ იხდის სტადიონის არენდის ფულს. ეს ერთ დროს უმდიდრესი კლუბი ცნობილი სკანდალის შემდეგ დიდ ფინანსურ კრიზისს განიცდის, როგორც უურნალისტები აღნიშნავენ, კლუბმა მუნიციპალიტეტს უნდა გადაუხადოს 4 მილიონი ფრანკი (720 ათასი დოლარი).

ფიფას კიდევ ორი ახალი წევრი შეემატა — ჯიბუტი და ერიტრეა. ამ ქვეყნების საფეხბურთო დეპიუტი შედგება აღმოსავლეთ და ცენტრალური აფრიკის თასის გათამაშებაში, რომელსაც საფუძველი 1973 წელს ჩაეყარა და მას შემდეგ სისტემატურად ეწყობა.



გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.

ხელმძღვანელი: გ. სამონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, მ. წოწორია, მ. ჯიღაური.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

მაღლეოსნობა

შენცა, კრისტ!

როგორც უცხოეთის სააგენტოები აღნიშნავენ, ბოლო დროს მთლად თავი აიშვა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა 100 მეტრზე რბენაში ლინფორდ კრისტიმ (ინგლისი), იაიფ-ს გადაწყვეტილი აქვს ინგლისის მძლეოსნობის ფედერაციაში უჩივლოს გათავხედებულ სპორტსმენს. სხვა ბრალდებებს შორის პრესა გამოპყოფს სამ ძირითადს: 1. უმსგავსო საქციელი დოპინგკონტროლის პუნქტებში; 2. ჩხუბი დენის მიტჩელთან ციურიხის გრან-პრის შემდეგ და 3. მოულოდნელი, წინასწარგაუფრთხილებელი უარი სტოკჰოლმის გრან-პრიში მონაწილეობაზე.

თავადაც გაოცებულია...

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იაიფ-ი) ისტორიაში უმაგალითო შემთხვევა მოხდა. კოკაინის ხმარებისთვის დისკვალიფიცირებული დენი პარისი მთლიანად რეაბილიტირებულია. მას უფლება აქვს გამოვიდეს ნებისმიერ საერთაშორისო ან შინაურ შეჯიბრებაში. ეს გადაწყვეტილება იმდენად მოულოდნელი იყო სპორტსმენისათვის, რომ ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია სად და როდის იასპარეზოს.

ოთხი წლით...

მარტინ ბრემერმა (გერმანია) ლონდონში მსოფლიოს თასის ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა 5 000 მ რბენაში. ეს შედეგი მაშინ სენსაციად მიიჩნიეს, მაგრამ როგორც შემდეგში გაირკვა სპორტსმენს დოპინგი მიუღია. ახლა იგი 4 წლითაა დისკვალიფიცირებული.